

ევროინტეგრაცია და ქართული იდენტობა: დაპირისპირება თუ ჰარმონია

გივი ჯანიბეგაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მიმართულება: საზოგადოებრივი გეოგრაფია

საბჭოთა სივრცის დატოვებიდან დღემდე საქართველო აქტიურად ცდილობს ევროპულ ერთა ოჯახთან დაახლოებას, რაც აშკარად დადასტურდა 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელმოწერით. ამ მისწრაფებას თან ახლავს ევროკავშირის ღირებულებებისა და ნორმების დამკვიდრება, რომელიც ქართველ საზოგადოებაში მსჯელობის საგანი გახდა. თუ მოსახლეობის ერთი ნაწილი ევროპეიზაციას საქართველოს ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური განვითარებისთვის ხელშემწყობ პროცესად განიხილავს, მეორეთა შეხედულებით, ევროპული ფასეულობების გაზიარება იმთავითვე ქართულ იდენტობას უპირისპირდება, რაც გამოიხატება ეროვნული ტრადიციების კარდინალურ ტრანსფორმაციასა თუ მოქალაქეთა პატრიოტიზმის შესუსტებაში. საქართველოსათვის ძალზედ რთულია ადგილის დამკვიდრება ერთი მოცემულობიდან ახალ, განსხვავებულ სივრცეში და, ამ მხრივ, გარდამავალი პერიოდის ეტაპიდან აღმავალი საფეხურისკენ სვლისას მრავალ სირთულესთან გამკლავება ნამდვილად მოუწევს. ჩემი აზრით, ევროინტეგრაცია ჰარმონიულად შეესატყვისება ქართულ იდენტობას, რითაც ევროპულ მოდელთან ზიარებას, პოსტსაბჭოთა ქვეყნის ეპითეტის საბოლოოდ მოშორებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სწრაფ პროგრესს შეძლებს.

ევროინტეგრაციის სკეპტიკოსები ამბობენ, რომ საქართველო არის საქართველო და ამიტომაც არ არის ევროპა,¹ ხაზს უსვამენ ეროვნული იდენტობის სიმყარეს, როგორც კოლექტიური იგივეობის ფორმას და ამით ეწინააღმდეგებიან სხვა ხალხთან გაერთოვანებისკენ მისწრაფებას. თუმცა ისინი ყურადღებას ამახვილებენ რა ევროპელი ხალხისგან კოლექტიურ გამიჯვნაზე, ქვეცნობიერად ინდივიდუალიზმის უარყოფით გამოხატავენ კოლექტივიზმისა და საზოგადოებრივი ჩაკეტილობის ნიშნებს, რაც აშკარად აღმოსავლური საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი. ამასთანავე, მართალია, ევროინტეგრაცია დასავლური ღირებულებების შეთვისებას გულისხმობს, მაგრამ ეს ზოგადი ცნება განსჯისთვის უწინარეს დაზუსტებას

¹ მირიანაშვილი გ., *პროევროპული საზოგადოება ევროპული სოლიდარობისა და იდენტობის გარეშე*, გამოქვეყნებულია:

<http://european.ge/proevropuli-sazogadoeba-evropuli-solidarobis-gareshe/> .ბოლო ნახვა 23.05.2019

მოითხოვს. კერძოდ, ევროპული ფასეულობები ეფუძნება ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემას, თავისუფლებას, თანასწორობას, დემოკრატიულ მმართველობასა და კანონის უზენაესობას.² ნუთუ შეიძლება, დემოკრატიულობისაკენ გზამკვლევი ფასეულობების გაზიარება ვიუაროთ?! ნუთუ შეიძლება გვეშინოდეს იმავე იდეალებისაკენ სწრაფვის, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია ღაღადებს?! როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში აშკარად იკვეთება ჰარმონიზაცია, ხოლო ოპონენტები განსხვავებულობის წარმოჩენით ისე არიან დაკავებულები, რომ ყურადღებას აღარ ამახვილებენ მსგავსებებზე, რითაც ანტიკონსტიტუციურ იდეებამდე მიდიან.

მეორე გავრცელებული არგუმენტი, რომლითაც, ევროსკეპტიკოსთა მოსაზრებით, ევროპეიზაცია ეროვნულ იდენტობას უპირისპირდება, ეხება ოჯახური ღირებულების საკითხს.³ ოპონენტები სამართლიანად აღნიშნავენ და მოქალაქეთა ერთსულოვანებაც სუფევს, რომ ქართული ტრადიციისთვის ოჯახი წმინდა სოციალური უჯრედია, მაგრამ ევროპეიზაციის გავლენის შეფასებისას ორი რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება იკვეთება. ოპონენტები ფიქრობენ, რომ ევროპული ფასეულობებისთვის ოჯახის წევრების ურთიერთპატივისცემა შესუსტებულია, რის დასტურადაც საქართველოსთან შედარებით განქორწინებათა ზოგადი კოეფიციენტის ტენდენციურად ჩამოყალიბებული საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი მოჰყავთ. ამავე მოსაზრების გასამყარებლად ასევე ასახელებენ ქორწინების გარეშე შექმნილ ოჯახებსაც. ამ მაგალითებით კი ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ ევროპული ღირებულებები შეცვლის ქართულ ოჯახში მორალური და კულტურული ფასეულობების ჩამოყალიბების პროცესს, რაც საყოველთაო გავრცელებას ჰპოვებს ქართველი საზოგადოების განვითარებაზე და ოჯახის კულტურასთან ერთად შეარყევს ეროვნულ ტრადიციებს. ეს კი, თავისთავად, ქართულ იდენტობაზეც უარყოფითად აისახება.

ის, რომ ევროპაში განქორწინების მაღალი დონეა, ოჯახის წევრთა ურთიერთპატივისცემის სიძლიერის დაკარგვის ხაზგასასმელად ნამდვილად შეიძლება გამოდგეს, მაგრამ საქართველოში თუ ეს მონაცემი დაბალია, ნიშნავს, რომ ოჯახი მყარია?! დასაშვებია, ევროპულ ქვეყნებში განქორწინებათა მაღალი მაჩვენებელი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ შემუშავებული პოლიტიკით იყოს განპირობებული, საქართველოში კი, პირიქით - ერთი შეხედვით მყარი ოჯახის მიღმა გამორიცხული არ არის წყვილთა ურთიერთობაში მუდამ ჟამს პატივისცემა კი არა,

² ევროპულ თანამეგობრობათა ოფიციალური გამოცემების სამსახური, *ახსნა განმარტებები მოქალაქეებისათვის*. (2004). გამოქვეყნებულია:

http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/virtual_library/20_02_presentation_to_citizens_k a.pdf. ბოლო ნახვა 23.05.2019

³ მირზიაშვილი მ., ჩხიკვაძე ი. *გზამკვლევი*. გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2014. გვ. 62.

ძალადობაც აღინიშნებოდეს, თუმცა საზოგადოებაში დოგმატურად გაბატონებული წეს-ჩვეულებების გავლენით იფარებოდეს. მაშინ ქალ-ვაჟს შორის ამგვარი დამოკიდებულების შენარჩუნება იქნება უმჯობესი?!

რაც შეეხება მეორე არგუმენტს - წყვილის სამოქალაქო ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას - დაბალი მორალის ხაზგასასმელად ვერ გამოდგება, რამეთუ ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში მსგავს სტრატეგიას მიმართავენ იმისთვის, რომ ასეთ ოჯახში შვილის გაჩენით დედამ მარტოხელა მეურვის სტატუსი მიიღოს მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობისთვის. თუმცა, ეს სულაც არ აკნინებს წყვილის ურთიერთდამოკიდებულებას და მის ფონზე ქართული ოჯახის სიწმინდის წარმოჩენაც საფუძველს მოკლებულია.

ევროპული და ქართული ოჯახების ფასეულობათა სხვაობისა და ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციის შემთხვევაში საშიშროების წარმოსაჩენად საზოგადოების ნაწილი ასაბუთებს, რომ ევროპეიზაცია ჩვენს ქვეყანაში შემოიტანს ერთსქესიანთა ქორწინებას, რაც ჩვენს იდენტობას საფრთხეს უქადის. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის ქორწინების დაშვებას სახელმწიფოებს ევროკავშირის სამართლებრივი ნორმები კი არ ავალდებულებს, არამედ ამ საკითხის ეროვნული კანონმდებლობით მოწესრიგება თავად ცალკეული ქვეყნის პრეროგატივაა (ნათელი მაგალითისთვის, ხორვატიის კონსტიტუციაში ქორწინება მხოლოდ კაცისა და ქალის თანაცხოვრებად არის განმარტებული) და, შესაბამისად, ოჯახის კულტურაზე ევროკავშირი უარყოფით ზემოქმედებას ვერ იქონიებს.

ევროინტეგრაციისა და ქართული იდენტობის წინააღმდეგობრივი ხასიათის წარმოსაჩენად ოპონენტები კიდევ ერთ არგუმენტად ასახელებენ იმას, რომ ევროპული მოდელი მართლმადიდებლობას შეზღუდავს⁴ და ვინაიდან ქართული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი სარწმუნოებისადმი ერთგულებაა, მრევლის შემცირება თავისთავად შეასუსტებს ქრისტიანულ მოტივებზე აგებულ ეროვნულ ტრადიციებსაც. საბოლოოდ ეს ერის ერთიანობის აღქმის ნაწილობრივ წაშლას გამოიწვევს. საქართველოს ავბედითი ისტორიული ხვედრის გათვალისწინებით, ამგვარი ჰიპოთეზის არსებობა გასაკვირი ნამდვილად არ არის. მართალია, ევროკავშირი მხარს უჭერს რწმენის თავისუფლებას, მაგრამ ნიშნავს პლურალიზმი ქართული ეკლესიის როლის დაქვეითებას საზოგადოებაში? ამ კითხვაზე საპასუხოდ მაგალითისთვის გამოდგება საბერძნეთი: ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის ფუნქცია არ შესუსტებულა საბერძნეთის ევროკავშირში გაწევრებიდან მოყოლებული, არ დაკარგულა რელიგიური ფასეულობები... ამით იმის თქმა შეიძლება, რომ რელიგიურ ღირებულებათა გადაფასება ევროკავშირზე კი არა, თავად ერზეა დამოკიდებული და,

⁴ მირზიაშვილი მ., ჩხიკვაძე ი. *გზამკვლევი*. გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2014. გვ.64.

შესაბამისად, დასახელებული საფრთხე არადამაჯერებლად გამოიყურება. გარდა ამისა, ჩვენი სარწმუნოებისთვის ევროპული გავლენის უსაფრთხოების ხაზგასასმელად არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვებიც: „ჩვენ [ეკლესია] ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველო გახდეს სრულყოფილიანი წევრი ამ დიდი ორგანიზაციისა [ევროკავშირის]“.⁵ ამდენად, ევროპულ სივრცესთან გაერთიანება ქართველ მართლმადიდებელ მოსახლეობას, ისევე, როგორც წევრი სახელმწიფოების რელიგიურ ცხოვრებას, არანაირ საშიშროებას არ უქმნის, მით უმეტეს, რომ მათი ტრადიციების უმეტესობა საერთო ქრისტიანულ ცივილიზაციაზეა აღმოცენებული.

ევროინტეგრაცია არ იწვევს საზღვრების მოშლას, არც ენის დაკარგვას და, როგორც უკვე გამოიკვეთა, არც სარწმუნოებისათვის ყოფილა საფრთხის შემცველი. თუმცა ამ სამი საგანძურის გვერდით დგას მეოთხე საუნჯეც - ტრადიციული მეურნეობა. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქართველი ერის დასუსტებისათვის მტერი უპირველესად ტრადიციული ეკონომიკის მოშლას ცდილობდა, იმ მეურნეობისას, რომელსაც ქართული კულტურის ნაწილი ემყარებოდა. სწორედ ეს მოტივი ედო საფუძვლად მტრების მიერ ქართული ვაზის გაჩეხვას. ტრადიციული მეურნეობის სრულად მოშლა თავისთავად გულისხმობდა ექსპორტის გაწყვეტას, ე.ი. სხვა ცივილიზაციებთან კავშირის შესუსტებას, ღვინის დაწურვის ქართული ტრადიციის, საღვინე ჭურჭლისა თუ სადღეგრძელოს, არქიტექტურის სპეციფიკური სტილისა (ჩუქურთმებზე ვაზის გამოსახვა) და თვით მგოსანთათვის მუხის დაკარგვასაც... რა ელის ევროკავშირში გაწევრიანებით საქართველოს? ჯერ მხოლოდ ასოცირების დონეზე მისი ექსპორტი დინამიკურად მზარდია, რაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შემთხვევაში კიდევ საგრძნობი გახდება. ისეთი ტრადიციად ქცეული მეურნეობა, როგორცაა, მაგალითად, მევენახეობა-მეღვინეობა, როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ პროგრესს განიცდის ევროკავშირის გრანტების დახმარებით. ამასთანავე ევროინტეგრაცია სრულებით არ ეწინააღმდეგება მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ვაჭრობას, შესაბამისად, ევროკავშირი საქართველოს ტრადიციულ მეურნეობას სხვა დარგებით კი არ ანაცვლებს, არამედ ეხმარება განვითარებაში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურისა და მსოფლმხედველობისთვის ევროპული იდეალები უცხო არ არის. ევროინტეგრაციის პროცესს არ ახასიათებს ქართული ოჯახის სიწმინდის უგულებელყოფა, რელიგიურ საფუძველზე აღმოცენებული მატერიალური თუ არამატერიალური კულტურის

⁵ Civil Georgia. (2017) გამოქვეყნებულია:

<https://old.civil.ge/geo/article.php?id=27927> . ბოლო ნახვა: 23.05.2019

ელემენტთა გადაფასება და ტრადიციული მეურნეობის გაქრობა. ყოველივე ის, რაც კულტურულ მიკუთვნებულობას წარმოშობს და ქართველ საზოგადოებას ერად აქცევს, ევროპულ სივრცესთან ზიარების შემდეგაც იგივე დარჩება. ამდენად, ევროინტეგრაცია ქართულ იდენტობას არ უპირისპირდება და ეს ურთიერთობა უფრო ჰარმონიულია, ვიდრე წინააღმდეგობრივი.